ლალი გელოვანი - ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის 1-ელი საჯარო
სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი

„მადლიერების ყულაბა“ - სოციო-ემოციური სწავლების საინტერესო აქტივობა

ყველამ კარგად ვიცით ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, -
- აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?!“

მაგრამ ერთია ცოდნა და მეორეა მისი რეალიზება. სამწუხაროდ, ცხოვრების მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებზე მიმავალთ გვავიწყდება ჰუმანიზმი, ემპათიურობა, უგულებელვყოფთ აზრს, რომ ამქვეყნიურად ყოფნის არსი სიკეთეშია...

ტექნოლოგიური ეპოქის ხანაში უფრო და უფრო რთულდება აუხსნა, დაანახო მოსწავლეს სიკეთის მნიშვნელობა. ასოციალური გარემო ბევრ წინაღობას უქმნის მასწავლებელს.

თანამედროვე მასწავლებლის ვალია, იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები აღწერს, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ. მან, ოჯახთან ერთად, უნდა გაინაწილოს პასუხისმგებლობა მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით.

მოქალაქეობრივი განათლება არ უნდა უკავშირდებოდეს მხოლოდ ტოლერანტობასა და ერთმანეთის დღესასწაულების გაზიარებას, მან ხელი უნდა შეუწყოს ინტერაქციაზე დამყარებულ დინამიკურ ურთიერთგაცვლას, ღიაობასა და ქმედით სოლიდარობას.

დემოკრატიული საკლასო ოთახი ჯანსაღი და ღია ურთიერთობის საწინდარია, სადაც მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საკლასო პროცესში, რაც მათში სოციო-ემოციური სწავლების განვითარებას მოითხოვს. ჯანსაღი, სოციალურად ჰარმონიული და უსაფრთხო საზოგადოების ფორმირების დაკვეთა მიმართულია სკოლისაკენ, ხოლო, თავის მხრივ, სამყაროს კომპლექსურობა, განვითარების უპრეცედენტოდ მზარდი დინამიკა და ტექნოლოგიური პროგრესი სკოლის მხრიდან უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლის სოციალური და ემოციური განვითარებისთვის. საჭიროა ამ მიმართულებით არა სპონტანური და ერთჯერადი, არამედ ორგანიზებული და მეთოდოლოგიურად გამართული, სტაბილური და ხანგრძლივი საქმიანობა.

მას შემდეგ, რაც სოციო-ემოციური სწავლების ერთ-ერთ ხელშემწყობ აქტივობა „მადლიერების ყულაბას“ გავეცანი, ძლიან მომეწონა და გადავწყვიტე აქტიურად დამენერგა ის პრაქტიკაში. მისი გამოყენება არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას, განსაკუთრებულ რესურსებს და ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა:

- თვითშემეცნება
- საკუთარი და სხვისი ემოციების ანალიზი
- პატივისცემა
- ემპათია
- მადლიერება
- კომუნიკაცია
- პროსოციალური კომპეტენცია

- ყურადღება და დაკვირვება
- კრიტიკული აზროვნება

ნაბიჯების აღწერა

<u>ნაბიჯი 1.</u>

- მოსწავლეებს ვესაუბრე მადლიერების შესახებ.
- ვთხოვე გაეხსენებინათ შემთხვევა, როცა სხვისი დახმარებით, სხვისი ქცევით თავი ბედნიერად იგრძნეს.

მოსწავლეებმა სიამოვნებით გაისხენეს რეალური ფაქტები თავიანთი ცხოვრებიდან, უმნიშვნელო დეტალებზეც კი გაამახვილეს ყურადღება. თითოეულ მათგანს ბედნიერებისგან უბრწყინავდა სახე.

<u>ნაბიჯი 2.</u>

მოსწავლეებს ვაჩვენე 3 წუთიანი ფილმი სიკეთეზე, (https://www.facebook.com/watch/?extid=CL-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C&mibextid=2Rb1fB&v=1826029757681222)

რომელმაც მათში სასიამოვნო ემოცია გამოიწვია, ზოგს სიხარულის ცრემლიც მოადგა თვალებზე.

გაიმართა მსჯელობა მადლიერების შესახებ. მოსწავლეებმა გაიხსენეს ქართული თუ უცხოური ნაწარმოებები, გამონათქვამები ამ თემასთან კავშირში. ჩემი მიზანი იყო მომემზადებინა მოსწავლეები იმისათვის, რომ მადლიერებაზე ფიქრი მათ ყოველდღიურ რუტინად ქცეოდათ.

<u>ნაბიჯი 3</u>

მას შემდეგ, რაც მივხვდი რომ მოსწავლეებმა გაიცნობიერეს მადლიერების არსი, შევთავაზე თავად შეექმნათ ყულაბა /მოეხატათ ქილა/ გაეფორმებინათ პატარა სკივრი და დემოკრატიული პრინციპით შეერჩიათ ერთი, რომელშიც განათავსებდნენ თავიანთ გზავნილებს. აღნიშნული აქტივობა მიემართებოდა იმ მიზანს, რომ მოსწავლეებს „მადლიერების ყულაბის“ მიმართ ინტერესი შეენარჩუნებინათ.

შერჩეული ყულაბა „მადლიერების სკივრი“ განთავსდა საკლასო ოთახში.

<u>ნაბიჯი 4</u>

<u>ინსტრუქციის მიცემა</u>

მოსწავლეებს ვთხოვე გაეანალიზებინათ მათი ყოველი დღე, ვისგან იგრძნეს მხარდაჭერა, ვისგან მიიღეს დახმარება და ფაქტები აღეწერათ პატარა ფურცელზე. კომენტარში უნდა გამორკვეულიყო, ვის მიმართ გრძნობდნენ მადლიერებას და რატომ.

ყუთი განვათავსეთ საკლასო ოთახში, თვალსაჩინო ადგილას, მოსწავლეებს, მასწავლებლისგან დამოუკიდებლად, უნდა ჩაეყარათ ფურცლები სასწავლო წლის განმავლობაში, ხოლო დათქმულ დროს ერთად გავხსნიდით ყულაბას და თავიდან გავეცნობოდით საინტერესო კომენტარებს.

მოსწავლეები თითქმის ყოველდღიურად მიდიოდნენ ყულაბასთან, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, დიდი სიამოვნებითა და ბედნიერი სახეებით აივსო ჩვენი „მადლიერების სკივრი“.

აღნიშნული აქტივობის საშუალებით მოსწავლეებმა მიიღეს სასიამოვნო და დადებითი გამოცდილება, განუვითარდათ ფუნქციური უნარები.

- კრიტიკული აზროვნება

დაკვირვება
დასკვნების ჩამოყალიბება
დასკვნების შეფასება
რელევანტური/არარელევანტური ინფორმაციის იდენტიფიცირება

- შემოქმედებითობა
    - ფლექსიურობა
    - დეტალებზე ყურადღების გამახვილება
- კომუნიკაცია
    - მიზნობრივი ინფორმაციის ნათლად გამოხატვა
    - ემპათია
    - აღიარება
- მოქალაქეობა
    - უზენაესი ეთიკის პრინციპი
    - ანგარიშვალდებულება
- ხარისხის ნებისყოფა/ნებელობა
    - იდენტობა
- თვითრეგულაცია
    - თვითაქტუალიზაცია

მიმაჩნია, რომ „მადლიერების ყულაბის“, როგორც სოციო-ემოციური სწავლების ხელშემწყობი აქტივობის გამოყენება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, რადგან ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეთოდოლოგიურ ორიენტირებთან დაკავშირებულ 5 საგანმანათლებლო პრინციპს.

1) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.
2) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
3) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას.
4) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულს და პირობისეულს.

მადლიერების ყულაბა

სოციო-ემოციური სწავლების ხელშემწყობ აქტივობებს, ტექნიკებსა და თამაშებს შორის ძალზე გავრცელებულია „მადლიერების ყულაბა“. ის არ მოითხოვს განსაკუთრებულ რესურსებსა და დიდ ძალისხმევას. ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი კომპეტენციების განვითარებას, როგორებიცაა:

- თვითშემეცნება
- საკუთარი და სხვისი ემოციების ანალიზი
- ემპათია
- პატივისცემა
- მადლიერება
- კომუნიკაცია
- პროსოციალური კომპეტენცია
- ყურადღება და დაკვირვება
- კრიტიკული აზროვნება

პრაქტიკული რჩევები აქტივობის გამოყენებისათვის

• თავდაპირველად მოსწავლეებს ესაუბრეთ მადლიერებაზე, სთხოვეთ, გაიხსენონ ერთი შემთხვევა, როდესაც სხვისი დახმარებით და სხვისი საქციელით თავი ბედნიერად იგრძნეს.

• დაუთმეთ რამდენიმე დღე/გაკვეთილი მადლიერებაზე საუბარს.

• როდესაც მიხვდებით, რომ მოსწავლეებმა სათანადოდ გააცნობიერეს მადლიერების არსი, სთხოვეთ, შეარჩიონ საშუალო ზომის, მათთვის საინტერესო ფორმისა და დიზაინის ქილა.

• სთხოვეთ, მოსწავლეებს, გააანალიზონ ყოველი დღე, დაფიქრდნენ რა მოხდა, ვისთან ჰქონდათ ურთიერთობა. გაიაზრონ დამოკიდებულებები ამ მოვლენების მიმართ.

• სთხოვეთ, მოსწავლეებს, ვისგან იგრძნეს მხარდაჭერა, დადებითი დამოკიდებულება, პატარა ფურცელზე დაწერონ კომენტარი ვის მიმართ გრძნობენ მადლიერებას და რატომ.

• ფურცლები მოათავსონ ყულაბაში.
• ამ აქტივობის შესრულება მოსწავლეებს სთხოვეთ ყოველდღე ან თუნდაც კვირაში ერთხელ.

• გარკვეული დროის შემდეგ - სემესტრის ან წლის ბოლოს - სთხოვეთ მოსწავლეებს, გახსნან თავიანთი ყულაბა, წაიკითხონ პატარა ფურცლებზე მიწერილი მადლიერების კომენტარები და გაიხსენონ, რამდენი სასიამოვნო და დადებითი გამოცდილება მიიღეს ამ დროის განმავლობაში.

ბრძოლა იქ მთავრდება,
სადაც მადლიერება იწყება.

/ნილ დონალდ უოლში/

ვებრალებოდეს, ნუ ჭრისხავ
კაცს შენზედ შურის მნდომსაო,
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მადლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო!

/ილია ჭავჭავაძე/

იმ ადამიანების მადლიერები ვიყოთ, რომლებსაც ბედნიერება მოაქვთ ჩვენს ცხოვრებაში, ისინი შესანიშნავი მებაღეები არიან, ჩვენს სულებს აიძულებენ, აყვავდნენ.

/მარსელ პრუსტი/

<u>მადლი</u> – ესე არს, რომელმან არცა მოყ(ვ)რობისათვის, არცა შიშისათვის, არცა სიყვარულისათვის კეთილი და ქველი(ს) საქმე ქმნას, კვალად მადლი არს ყოველივე კეთილი და რაიცა ცოდვა არა არს, მადლი არს.

(სულხან-საბა ორბელიანი)

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა!

/ილია ჭავჭავაძე/

მადლი ქენი, ქვაზე დადე,
გაიარე, წინ დაგხვდება.

/ანდაზა/

სასწავლო-მეთოდური რესურსი

მადლიერების ყუთაბა

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო
- აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?!

/ილია ჭავჭავაძე/

დანართი 1

კონფერენციის მონაწილის აპლიკაცია

სახელი, გვარი	ლალი გელოვანი
მისამართი	ქ. ქუთაისი, ნიკო ნიკოლაძის 19
ტელეფონი	0(431) 24 43 35
მობილური	599 67 55 69
ელ-ფოსტა	lali.gelovani@gmail.com
ორგანიზაციის დასახელება	**სსიპ ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პირველი საჯარო სკოლა**
დაკავებული თანამდებობა	ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი
სამეცნიერო (აკადემიური) ხარისხი და წოდება	
მოხსენების სათაური	**„მადლიერების ყულაბა“ - სოციო-ემოციური სწავლების საინტერესო აქტივობა**
კონფერენციის სამეცნიერო მიმართულება	პედაგოგიკა
მონაწილეობა (დასწრებული/დისტანციური)	დასწრებული